

EMC-ის სექციონობა პენდემიის დროს

EMC
2020

სარჩევი

03	რედაქტორის სვეტი
05	სოციალური პოლიტიკის პროგრამა
05	შრომის პოლიტიკა
07	სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა
09	მწვანე პოლიტიკა
10	სათანადო საცხოვრისის უფლება
11	შშმ პირთა უფლებები
12	მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამა
12	საგანგებო მდგომარეობა COVID 19-ის დროს
14	თანასწორობის პოლიტიკის პროგრამა
14	ჩაკეტილი მარნეული და ბოლნისი ჰუმანიტარული კრიზისის და სიძულვილის ენის პირისპირ
17	აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე პროცესები
18	ოკუპირებულ ტერიტორიებზე პანდემიის კუთხით არსებული მდგომარეობა და გამოწვევები
19	პანდემია და ეკლესია
20	ონლაინ დისკუსიები პანდემიის დროს
23	კონსულტაციები
24	დონორი ორგანიზაციები და პროექტები

პანდემია და კრიზისი



ლინა ღვინიაიძე
ალმასრულებელი დირექტორი

კოვიდ19-ის პანდემია გლობალური ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევასთან ერთად, უმთავრეს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ კრიზისად იქცა მთელი მსოფლიოსთვის. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე ღრმა გლობალურ რეცესიას პროგნოზირებენ, რაც უკიდურესად გააღრმავებს უთანასწორობის ისედაც მძიმე მაჩვენებლებს და მილიონობით ადამიანს სიღარიბეში დააბრუნებს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შეფასებით, 2020 წლის პირველ ნახევარში მსოფლიოს მასშტაბით 400 მილიონი (სრული) სამუშაო ადგილი გაქრა, ხოლო უმუშევრობის და მშრომელთა სოციალური დაუცველობის სახით დამდგარი უმძიმესი შედეგების შერბილების პროგნოზი ბუნდოვანი და ნაკლებ საიმედოა.

პანდემიით გამოწვეული მძიმე კრიზისი შეეხო საქართველოსაც და როგორც ვარაუდობენ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში პანდემიამ კიდევ უფრო რთული მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები შექმნა. საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა 26 თებერვალს დადასტურდა, რასაც 21 მარტს მთელი ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მოჰყვა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე და მის პარალელურად ვირუსის გავრცელების შემცირებისათვის საქართველოს მთავრობამ არაერთი რადიკალური ზომა მიიღო, მათ შორის, შეიზღუდა საერთაშორისო მიმოსვლა, დაიკეტა საზღვრები, დაიხურა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, შეწყდა ფიზიკური სასწავლო პროცესი და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა, გაჩერდა ეკონომიკის არაერთი სექტორი, გარდა სიცოცხლისთვის და ბაზისური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ობიექტებისა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელებისა და ჯანდაცვის სექტორის თანამშრომლების უპრეცედენტო ძალისხმევამ, მთავრობის მიერ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისა და მეცნიერების აზრის გათვალისწინებამ და მოსახლეობის მიერ ძირითადი რეკომენდაციების შესრულებამ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით არსებული რისკები მნიშვნელოვნად შეამცირა

რა და დღეს საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ვირუსის გავრცელებისა და მისით გამოწვეული ლეტალური შემთხვევების დაბალი მაჩვენებელი აქვს.

თუმცა, პანდემიამ განსაკუთრებული კრიზისი შექმნა ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური დაცულობის თვალსაზრისით. პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზევე ცხადი გახდა რომ ეკონომიკურმა შოკმა ათასობით საქართველოს მოქალაქე მინიმალური შემოსავლისა და სოციალური უსაფრთხოების გარანტიების გარეშე დატოვა.

პანდემიამ ცხადი გახადა ჯანდაცვის სექტორის პრივატიზების მძიმე შედეგები და გააძლიერა საზოგადოებრივი განწყობები საჯარო ინტერესის გათვალისწინების მნიშვნელობაზე ჯანდაცვის სექტორის მართვაში. ამასთან, პანდემიამ მთელი სიმძაფრით დაგვანახა ჩვენი ქვეყნის სოციალური და შრომის პოლიტიკის სიმყიფე და უმნიშვნელოვანესი სოციალური უსაფრთხოების მექანიზმების არარსებობის შედეგები. კომპანიების მნიშვნელოვანმა ნაწილმა თანამშრომელთა გათავისუფლების ან მათი უხელფასო შვებულებაში გაშვების გადაწყვეტილება მიიღო, რის შედეგადაც შემოსავლის მქონე მოსახლეობის დიდი ჯგუფები კომპენსაციის და სოციალური დაცვის გარანტიების გარეშე მძიმე ფინანსური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ; არაფორმალურ სექტორში და სოფლის მეურნეობაში ჩართული მოქალაქეების დიდ ნაწილს მომენტალურად გაუქრათ შემოსავლის ერთადერთი წყარო; მნიშვნელოვნად დამძიმდა ქვეყნის გარედან შემოსულ ფინანსურ მხარდაჭერაზე დამოკიდებული შინამეურნეოების მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შრომას აგრძელებდნენ მომსახურების (სუპერმარკეტები, აფთიაქები, ჯანდაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება), წარმოების (მაგ. სამკერვალოები) და მძიმე ინდუსტრიის სექტორებში დასაქმებული მშრომელები, რომელთა მძიმე და იაფი შრომა საკვანძო და სასიცოცხლო აღმოჩნდა ქვეყნის ფუნქციონირებისა და მოსახლეობისთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო და უსაფრთხოების გარანტიების შესაქმნელად.

ცხადი იყო რომ ქვეყანის სუსტი სოციალური და შრომის პოლიტიკა, რომელიც ნორმალურ ვითარებაშიც კი ვერ ართმევს თავს მოსახლეობის ელემენტარული სოციალური დაცულობის ამოცანას, სრულიად უუნარო აღმოჩნდა პანდემიით გამოწვეული შოკისგან დაეცვა უმუშევრად და შემოსავლის გარეშე დარჩენილები, ხანდაზმულები, უსახლკაროები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ლგბტ თემის წარმომადგენლები, სტუდენტები (განსაკუთრებით რეგიონებიდან და ოკუპირებული ტერიტორიებიდან) და სხვა მონყვლადი სოციალური ჯგუფები. მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ჯგუფების გადაუდებელი საჭიროებების საპასუხოდ, მოქალაქეთა თვითორგანიზებისა და სოლიდარობის უნიკალური პრაქტიკა და პრეცედენტები შეიქმნა, რამაც პირველ ეტაპზე განსაკუთრებული როლი ითამაშა ხანდაზმული და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოქალაქეების სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

საქართველოს მთავრობის მიერ კრიზისის მწვავე ფაზიდან ერთი თვის თავზე წარმოდგენილმა ანტიკრიზისულმა ეკონომიკურმა გეგმამ, რომელსაც დონორებისაგან და საერთაშორისო პარტნიორებისაგან მიღებული 3.5 მილიარდი ლარის მოსახლეობის საჭიროებაზე გადანაწილება უნდა უზრუნველყო, მოიცვა ფორმალურ და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა, ასევე მნიშვნელოვანი საჭიროებების მქონე სოციალური ჯგუფებისათვის მყისიერი მონეტარული დახმარება. თუმცა, გეგმამ იმთავითვე გააჩინა მნიშვნელოვანი კითხვები თუ რამდენად შეძლება არსებული გეგმა 800 000 თვითდასაქმებულის ან შემოსავლის გარეშე დარჩენილი დაქირავებით დასაქმებულ პირთა რეალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. პანდემიის მწვავე ფაზიდან მოყოლებული დღემდე საზოგადოებისთვის ცნობილი ხდება არაერთი სოციალური ჯგუფის პროტესტის შესახებ, რომელთაც მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა არ შეხებიათ ან მათი ბაზისური მოთხოვნები მთავრობის რეაგირების მიღმა დარჩნენ.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ არსებითად გაზარდა მთავრობის უფლებამოსილებები და მნიშვნელოვნად შეამცირა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. მთავრობის უფლებამოსილების ზრდამ, რაც ერთის მხრივ პანდემიის პირობებში ეფექტიანი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას გულისხმობდა, რისკის წინაშე დააყენა დემოკრატიული ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება. ამასთან, სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეზღუდვების აუცილებლობაზე, მათი ხანგრძლივობისა და მასშტაბის თაობაზე საზოგადოებრივ კონტროლს ართულებდა ეპიდსიტუაციის შესახებ მთავრობის ხელში არსებული ექსკლუზიური ცოდნა და კვლევითი მონაცემები, რაც პროცესს რეალური დემოკრატიული კონტროლისა და პოლიტიკური დისკუსიის მიღმა ტოვებდა. პოლიტიკურ ველში მმართველი ძალის ამგვარ დომინაციას დაეფუძნა მათი მხრიდან ხელახალი ლეგიტიმაციის მოპოვების

მცდელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს წინასაარჩევნო კონტექსტში.

საგანგებო მდგომარეობამ ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა პოლიტიკის მუშაობის ინტენსივობა, რამაც ძალის გადამეტების რისკები შექმნა. ადგილობრივი ბაზრების ამუშავებისა და სხვა სოციალური მოთხოვნით გამართულ პროტესტებს რეგიონებში, ასევე მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო მარნეულში ადგილობრივების მიერ გამართულ საპროტესტო აქციას სახელმწიფომ სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების გატარების ნაცვლად, საპოლიციო კონტროლის ფორმები დაუპირისპირა. ასევე, მარნეული და ბოლნისი, რომლებიც მალევე ეპიდემიუტების კერებად იქცა და სპეციალურ სახელმწიფო შეზღუდვებს დაექვემდებარა, განსაკუთრებულად მძიმე ეკონომიკურ კრიზისს, ხოლო მისი აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა ულტრამემარჯვენე და რადიკალი ჯგუფების მიერ ორგანიზებული სიძულვილის ენის ტალღებს უმკლავდებოდა. პანდემიამ კიდევ ერთხელ გამოააშკარავა სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე, რომელსაც სხვა რელიგიური ჯგუფებისაგან განსხვავებით ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკების მიუხედავად არ შეუნწყევტია ეკლესიებში შეკრება და საჯარო ღვთისმსახურება.

პანდემიით გამოწვეული კრიზისის ეკონომიკური და სოციალური შედეგები ღრმავდება და სულ უფრო ხილული ხდება მისი გრძელვადიანი ნეგატიური გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობასა და ქვეყნის განვითარებაზე. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიხედვით, წლის ბოლომდე საქართველო პოზიტიური სცენარის შემთხვევაში თითქმის ნულოვან ეკონომიკურ ზრდას, ხოლო ნეგატიური სცენარის განვითარების შემთხვევაში ეკონომიკის კლებას უნდა ელოდოს. მნიშვნელოვანია რომ ჩვენს მიერ მიღებული გლობალური თუ ადგილობრივი გამოცდილება, პანდემიით გამოწვეული კრიზისის უმძიმესი შედეგების შერბილებისთანავე, ქვეყნის ეკონომიკური, ჯანდაცვის და სოციალური სისტემების რადიკალური ტრანსფორმაციისკენ მიიმართოს, რომელიც შეძლებს მდგრადი განვითარების, სამართლიანი გადანაწილების, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის და სოციალური უსაფრთხოების მნიშვნელობის იდეებზე დაფუძნებას.

პანდემიის განმავლობაში EMC-ის გუნდი მთელი მისი რესურსით მაქსიმალურად ცდილობდა პირდაპირი მხარდაჭერისა და სამართლებრივი კონსულტაციის მექანიზმებით დახმარებოდა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ და შემოსავლის გარეშე დარჩენილ ადამიანებს. ასევე, აქტიურად იყო ჩართული მოსახლეობის ყველაზე დაუცველი სოციალური ჯგუფების საჭიროებების მოძიებაში და სახელმწიფოსათვის მათი გამკლავების გზების შეთავაზებაში.

ამასთან, EMC მნიშვნელოვან რესურსს მიმართავდა პანდემიით შექმნილი კრიზისის მასშტაბების, მისი შედეგების გამოვლენასა და შეფასებაში, ანალიტიკური დოკუმენტების მომზადებისა თუ საჯარო დისკუსიების ორგანიზების გზით.

შრომის პოლიტიკა

პანდემიის დროს ქვეყანაში შეზღუდვებისა და აკრძალვების ამოქმედებასთან ერთად მუშაობა შეაჩერა და მასაქმებელთა დიდმა ნაწილმა.

ეკონომიკურ კრიზისს, დაწესებულ შეზღუდვებსა და აკრძალვებს მშრომელთა უფლებების უხეში დარღვევები მოჰყვა. გახშირდა ხელფასზე უარის თქმის, დასაქმებულთა ე.წ. „იძულებით აუნაზღაურებელ შვებულებაში“ გაშვების, ხელფასის შემცირების, შრომითი ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის შემთხვევები. ამასთან, ის მშრომელები, ვინც მუშაობა პანდემიურ ვითარებაშიც განაგრძო გაზრდილი რისკების წინაშე აღმოჩნდნენ. მაღაროელები და მეშახტეები ჭიათურასა და ტყიბულში, ქალი მკერავები, კონსულტანტები მაღაზიებსა და აფთიაქებში, ექთნები და სხვები მუშაობას აგრძელებდნენ მაშინაც კი, როცა დაავადება ყველაზე სწრაფად ვრცელდებოდა.

დარღვევებსა და გაზრდილ რისკებზე საპასუხოდ EMC-იმ ამოქმედა ცხელი ხაზი და იურიდიული კონსულტაციების პროგრამა. ამ სერვისებით სარგებლობა უფასოდ შეეძლო ყველას, ვინც პანდემიის მანძილზე სამსახური ან შემოსავალი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა, მათ, ვისი შრომითი უფლებებიც დაირღვა და მათ, ვისაც ეპიდემიურ ვითარებაში მუშაობა საფრთხის შემცველ გარემოში უწევდა. ამ დრომდე ცხელი ხაზითა და კონსულტაციებით ისარგებლა 200-მდე ადამიანმა. ამასთან, **EMC ეხმარებოდა** მშრომელთა უფლებების უხეში დარღვევის ცალკეულ შემთხვევებსაც. მაგალითად, EMC გამოეხმაურა საცალო ვაჭრობის ქსელის, „სპარის“ გადანე-

ვინ შრომობს, როცა ყველაფერი ჩერდება? EMC

შრომობს სუპერმარკეტის კონსულტანტი!

მიზერულ ხელფასზე, შესვენების, დასვენების და ზეგანაკვეთური ანაზღაურების გარეშე.

ითავსებს დაცვის, მტვირთავის, დამლაგებლის, მოლარის, მესაწყობის ფუნქციებს.

ის ასრულებს აუცილებელ სამუშაოს: გრუნავს, რომ ჩვენ სურსათი გვქონდეს



#სამართალიმშრომელს

ვეტილებას არასამუშაო დროს, კომენდანტის საათის განმავლობაში, ღამით დასაქმებულების მაღაზიებში დარჩენის შესახებ და შრომის ინსპექციას ამ და სხვა მსგავსი შემთხვევების შემოწმებისკენ მოუწოდა.

კრიზისულ ვითარებაში გაჩნდა უამრავი კითხვა, როგორც დამსაქმებლების პასუხისმგებლობის, ასევე დასაქმებულთა უფლებების შესახებ. მათზე საპასუხოდ მომზადდა ხელმისაწვდომი რესურსები **მშრომელთა უფლებებისა** და შრომითი ხელშეკრულების შესახებ. მაგალითად, EMC-ის მიერ მომზადებული **მოკლე გზამკვლევი** განმარტავდა, აქვს თუ არა ეპიდემიურ ვითარებაში დამსაქმებელს დასაქმებულის აუნაზღაურებელ შვებულებაში გაშვების, ან მისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.

ამავდროულად, EMC-იმ წამოიწყო საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიზნად საკვანძო მშრომელების მნიშვნელობის ხაზგასმას ისახავდა. მაგალითისთვის, ამ წამოწყების ფარგლებში მომზადდა **გრაფიკული პოსტერი** მკერავი ქალების შესახებ, რომლებიც პანდემიის პირობებში ზეგანაკვეთური და დაბალანაზღაურებადი, მძიმე ფიზიკური შრომის ხარჯზე საზოგადოებრივ ჯანმრთელობისთვის აუცილებელ პროდუქტს, სამედიცინო პირბადეებს აწარმოებენ.

პოლიტიკური და მედია დღის წესრიგის არაპროგრესიზმისა და მათში ეპიდემიის ცენტრალურობის გამო, მნიშვნელოვნად გართულდა მშრომელთა უფლებებისთვისა და სამართლიანი სოციალური პოლიტიკისთვის ბრძოლა.

ვინ შრომობს, როცა ყველაფერი ჩერდება? EMC

შრომობს ტყიბულელი მეშახტე!

დაბალ ხელფასზე, სიცოცხლისთვის საშიშ გარემოში, იქ, სადაც 2018 წელს 10 მეშახტე დაიღუპა და მას შემდეგ პირობები კიდევ უფრო გაუარესდა

ის ასრულებს აუცილებელ სამუშაოს: აწარმოებს საექსპორტო საქონელს



#სამართალიმშრომელს

EMC

**ვინ შრომობს,
როცა ყველაფერი ჩერდება?**

შრომობს ტექსტილის ფაბრიკის მკერავი ქალი!

ღირსების შემლახავი დისციპლინის ქვეშ,
შრომობს ზეგანაკვეთურად!

თვეში 300-450 ლარად!

**ის ასრულებს აუცილებელ სამუშაოს:
პერავს პირბადეებს.**





#სამართალიმშრომელს

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, მას შემდეგ რაც ტყიბულში ქვანახშირის შახტების დამაკავშირებელ გვირაბში 3 მეშახტე მხუთავი აირებით მოინამლა, მეშახტეებმა უსაფრთხოების უზრუნველყოფამდე მუშაობის გაგრძელებაზე უარი თქვეს და აქცია გამართეს. ამ აქციაში აქტიურად მონაწილეობდა EMC, როგორც მეშახტეთა მოთხოვნების შემუშავების მხარდაჭერის, ისე საკითხის მიმართ ფართო საზოგადოების დაინტერესების კუთხით. მაისში EMC-იმ „ევოლუშენ გეიმინგის“ წინააღმდეგ კოლექტიური სარჩელი შეიტანა სასამართლოში, სადაც ის 14 გამოსაცდელი ვადის განმავლობაში გათავისუფლებულ დასაქმებულს წარმოადგენს. EMC განაგრძობს მონაწილეობას აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესშიც, სადაც ახლად ჩამოყალიბებული პროფესიული კავშირი დასაქმებულთა უფლებებისთვის და სარედაქციო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას განაგრძობს.

ამ მიმართულებით მომზადდა:

-  განცხადება – EMC მოუწოდებს შრომის ინსპექციას, დაუყოვნებლივ ჩაატაროს „სპარის“ ინსპექტირება
-  განცხადება – მხუთავი აირებით მოწამლული მეშახტეები ტყიბულში – გამოსმაურება
-  განცხადება – EMC-იმ „ევოლუშენ გეიმინგის“ წინააღმდეგ კოლექტიური სარჩელები შეიტანა
-  განცხადება – EMC-იმ აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტების საქმეებზე სასამართლოს მიმართა
-  ვიდეო – 1 მაისი – მშრომელთა საერთაშორისო დღე
-  ვიდეო – აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების სამთვიანი დევნის ქრონიკა
-  ვიდეოების სერია – COVID-19 და შრომის უფლებები
-  ანალიტიკური დოკუმენტი – კორონავირუსი და მშრომელთა უფლებები
-  ანალიტიკური დოკუმენტი – კორონავირუსი და შრომითი უფლებები – ხშირად დასმული კითხვები
-  ინფოგრაფიკების სერია – სამართალი მშრომელს



 ვიდეო – 1 მაისი – მშრომელთა საერთაშორისო დღე

სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა

მას შემდეგ რაც COVID 19-ის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის მასშტაბი და სიღრმე გამოაშკარავდა, სხვადასხვა სახელმწიფოებმა ანტიკრიზისული პროგრამები დანერგეს. საქართველოს მთავრობამ ანტიკრიზისული გეგმის წარდგენა ეტაპობრივად 24 აპრილს დაიწყო. შეიქმნა, როგორც ბიზნესის მხარდაჭერის, ისე სხვადასხვა მონაცვლადი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამები, რომლებშიც მოხვდნენ, როგორც დაქირავებით დასაქმებულები, ისე თვითდასაქმებულები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, ფერმერები და სხვები.

COVID 19-ის პანდემიის ზეგავლენასა და მის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტებს დაეთმო EMC-ის მკვლევარების მიერ მომზადებული რამდენიმე ანალიტიკური

დოკუმენტი. ერთი პანდემიურ ვითარებაში მშრომელთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლას დაეთმო, მეორე შრომითი ბაზრის ყველაზე მონაცვლადი ნაწილების – თვითდასაქმებული და არაფორმალური სექტორის – კვლევას. კვლევებში გამოვლინდა როგორც ამ სექტორებში არსებული ძირითადი გამოწვევები, რომელთა სიმწვავეც პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა, ისე ის მთავარი რისკები, რომელთა წინაშეც დასაქმებულთა ნაწილი ეპიდემიის გამო აღმოჩნდა.

არსებული გამოწვევებისა და რისკების შესახებ მომზადდა ფართო საზოგადოებისთვის ადაპტირებული მედია-პროდუქტები. ერთი მათგანი პანდემიური კრიზისის სოციალურ შედეგებს აჯამებს, მეორე კი, ქალებზე კრიზისის ზეგავლენას. ამასთან, მომზადდა ანიმაციური პოსტერი მინიმალურ ხელფასზეც.





 ეკონომიკური პოლიტიკა კრიზისის დროს: ინტერვიუები ეკონომიკის მკვლევრებთან

სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარება და მათი პირდაპირი დახმარება მნიშვნელოვანი წინგადადმული ნაბიჯია. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ანტიკრიზისული პროგრამები ითვალისწინებდნენ ისეთი ჯგუფების საჭიროებებსაც – როგორებიც არიან თვითდასაქმებულები, არაფორმალური მშრომელები და სხვები – ვინც, როგორც წესი, სახელმწიფოს ყურადღების მიღმა რჩება. მიუხედავად ამისა, ანტიკრიზისულ პროგრამებში გამოვლენილი ხარვეზები მათ სოციალურ სამართლიანობასა და მდგრადობას ეჭვქვეშ აყენებს.

EMC თვალს ადევნებდა და აფასებდა როგორც ანტიკრიზისული პროგრამების შემუშავებას, ისე მათ ადმინისტრირებას. EMC მისი გასაჭაროების დღიდან აფასებდა გეგმის შესაძლო გრძელვადიან ეფექტებს და მიუთითებდა ანტიკრიზისული გეგმის ხარვეზებსა და ჩავარდნებზე, ფართო საზოგადოებას აცნობდა ინფორმაციას სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობისა და გაჩენილი სოციალური რისკების შესახებ, მათ შორის ისეთი თემების გარშემო, როგორიცაა მოვაჭრეებისა და თვითდასაქმებულების საბანკო პრობლემები და აზარტული თამაშების ინდუსტრიის სოციალური გავლენა, რომლებიც მეტ ყურადღებას იმსახურებენ, თუმცა ხშირად დღის წესრიგის მიღმა რჩებიან.

პანდემიამ მძიმე დარტყმის ქვეშ მოაქცია ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის არსებული სისტემები. ჯანდაცვის სისტემაზე გამოქვეყნდა ორი ინტერვიუ დარგის სპეციალისტთან (“ჯანდაცვის პოლიტიკა კრიზისის დროს” – ინტერვიუ ნინო ხელაიასთან და თენგიზ ვერულავასთან). სოციალური დაცვის არსებული სისტემის ჩავარდნების შესახებ, რომლებიც პანდემიურ ვითარებაში განსაკუთრებით ცხადად გამოვლინდა, და მათზე საპასუხო შესაძლო ნაბიჯების შესახებ გამოქვეყნდა განცხადება. კავშირებს სოციალურ და რეპრესიულ პოლიტიკას შორის პანდემიურ ვითარებაში დაეთმო ონლაინ საჯარო დისკუსიაც.

კრიზისის კონტექსტში ეკონომიკურ პოლიტიკაზე გამოქვეყნდა ინტერვიუები ეკონომიკის მკვლევრებთან. ინტერვიუები კორონავირუსით გამოწვეულ შრომითი ბაზრის გარდაქმნას, ეროვნული ბანკის ანტიკრიზისულ პოლიტიკასა და სხვა აქტუალურ საკითხებს შეეხო.


ამ მიმართულებით მომზადდა:

-  განცხადება – EMC მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმას აფასებს
-  განცხადება – ანტიკრიზისულ პროგრამებში მნიშვნელოვანი ხარვეზები და რისკები იკვეთება
-  განცხადება – EMC მთავრობას მონაცვლადი ჯგუფების შიმშილისგან დაცვისკენ მოუწოდებს
-  განცხადება – EMC: მთავრობამ ანტიკრიზისულ გეგმაში ყველა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებები უნდა გაითვალისწინოს
-  განცხადება – EMC მოითხოვს მთავრობა მოვაჭრეებსა და თვითდასაქმებულებს სესხების რესტრუქტურირებაში დაეხმაროს
-  განცხადება – EMC აზარტული ინდუსტრიისგან ბავშვთა დაცვას მოითხოვს
-  განცხადება – კორონავირუსი და დროებით შემწეობის აუცილებლობა
-  განცხადება – EMC მოუწოდებს სახელმწიფოს, დაავალოს დამსაქმებულებს დასაქმებულების ტრანსპორტირება
-  განცხადება – EMC ითხოვს აუქციონების, საბანკო ანგარიშებზე ყადაღისა და თანხის ჩამოჭრის პროცედურების შეჩერებას
-  განცხადება – EMC მოითხოვს, მთავრობა მოვაჭრეებსა და თვითდასაქმებულებს სესხების რესტრუქტურირებაში დაეხმაროს
-  ინტერვიუ – ჯანდაცვის პოლიტიკა კრიზისის დროს – ინტერვიუ ნინო ხელაიასთან
-  ინტერვიუ – ჯანდაცვის პოლიტიკა კრიზისის დროს – ინტერვიუ თენგიზ ვერულავასთან
-  ინტერვიუ – ეკონომიკური პოლიტიკა კრიზისის დროს: ინტერვიუები ეკონომიკის მკვლევრებთან
-  ბლოგი – კორონა მხოლოდ დასაწყისია: საჭიროებების ეკონომიკა და სოლიდარობის ეკონომიკა
-  დისკუსია – რეპრესიული და სოციალური პოლიტიკა კრიზისის დროს
-  ვიდეო – ციფრებში და სტატისტიკურ მაჩვენებლებში გამოსახული უმუშევრობა

მწვანე პოლიტიკა

პანდემიის პირობებში მკვეთრად გაიზარდა ბუნებრივი რესურსების პოლიტიკის გადახედვის, გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების უგულვებელყოფის რისკი. EMC გამოეხმაურა ჰიდრორესურსების ათვისებისა და ჰესების მშენებლობის ფორსირებულ რეჟიმს, სამართლებრივად შეაფასა პანდემიურ ვითარებაში მიღებული გადაწყვეტილებები რამდენიმე ჰესთან დაკავშირებით და სასამართლოს მიმართა „ბახვი 2“ ჰესზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის მოთხოვნით.

ბუნებრივი რესურსების როლზე კრიზისულ ვითარებაში გამოქვეყნდა ორი თვალსაზრისი – პირველი („ფინანსური ლანდშაფტი, ბუნებრივი კაპიტალი“) ბუნებრივი რესურსებისა და საჯარო სივრცეების პრივატიზების ახალ ტალღაზე, მეორე ტყიბულის ქვანახშირის ისტორიასა და ქალაქის დღევანდელ მდგომარეობაზე („ტყიბული, პანდემია და ექსტრაქტივიზმი“).



ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება – EMC: დაუშვებელია ჰესების ფორსირებულ რეჟიმში მშენებლობა



განცხადება – „ბახვი 2“ ჰესზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უკანონოა – EMC სასამართლოს მიმართავს



ბლოგი – ფინანსური ლანდშაფტი, ბუნებრივი კაპიტალი



ბლოგი – ტყიბული, პანდემია და ექსტრაქტივიზმი



ბლოგი – ოქროს ციებ-ცხელება და გლობალური პანდემია

სათანადო საცხოვრისის უფლება

საცხოვრისის სფეროში კანონმდებლობის, პოლიტიკის, სერვისების არარსებობა/არასაკმარისობა პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო მწვავედ გამოჩნდა – ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან პროაქტიულმა და ეფექტიანმა ჩარევამ სხვადასხვა უსახლკარო ჯგუფისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისულმა გეგმამ უსახლკარო პირები ხელვის არეალის გარეშე დატოვა.

პანდემიის მიმდინარეობისას ორგანიზაცია ცდილობდა, სხვადასხვა ხერხით წარმოეჩინა უსახლკარო ჯგუფების საცხოვრისით უზრუნველყოფის აუცილებლობა. კერძოდ, EMC-იმ, საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნების გამოცდილების შესწავლაზე დაყრდნობით, რამდენიმე განცხადება და მულტიმედია პროდუქტი მოამზადა.



EMC-ის მიერ მომზადებულ გამომხატურებებში ძირითადად გამახვილდა ყურადღება იმ გამოწვევებზე, რის წინაშეც უსახლკარო ჯგუფები პანდემიის მიმდინარეობისას დადგნენ – მათ შორისაა, უსაფრთხო გარემოს არქონა, წყალთან არასათანადო წვდომა და რელევანტური ინფორმაციის ნაკლებობა. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, EMC-იმ მოუწოდა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, უმოკლეს დროში მოეხდინა უსახლკარო ჯგუფების პროაქტიური იდენტიფიცირება და მათი უსაფრთხო თავშესაფრით, ასევე, არსებობისათვის აუცილებელი სხვა პირობებით უზრუნველყოფა. რეკომენდაციებში, ასევე, ხაზი გაესვა უკიდურესი სოციალური მოწყვლადობის მდგომარეობაში მყოფი პირების მხარდაჭერის აუცილებლობას, მათ შორის, მათ საჭიროებებზე მორგებული სოციალური პაკეტებისა და შეღავათების უზრუნველყოფით.

ორგანიზაცია, ასევე, ადვოკატირებდა გამოსახლების საფრთხის წინაშე მყოფი პირების მხარდაჭერის მიმართულებითაც და მოითხოვდა გამოსახლებებზე მორატორიუმს, სულ მცირე, ქვეყანაში ვირუსის გავრცელების მხრივ სტაბილურობის მიღწევამდე. აღნიშნულ მოთხოვნასთან ერთად, EMC-იმ ხაზი გაუსვა აუქციონების, საბანკო ანგარიშებზე ყადაღისა და თანხების ჩამოჭრის



შეჩერების, ასევე, გამოსახლებას დაქვემდებარებული პირების ადეკვატური მხარდაჭერის აუცილებლობას.

უსახლკარობასთან ბრძოლის მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად, ორგანიზაციამ ყურადღება სოციალურად მოწყვლადი პირების სათანადო საკვებით უზრუნველყოფაზეც გამახვილა. უამრავი ადამიანისათვის შემოსავლის წყაროს სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის ფაქტების გათვალისწინებით, EMC-იმ მთავრობას უმოკლეს ვადაში სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების პროაქტიური იდენტიფიცირების, მათი საკვებით უზრუნველყოფისა და ამ მიზნით რელევანტური ფინანსური რესურსების ალოკაციისკენ მოუწოდა. ორგანიზაციის რეკომენდაციებმა ასევე მოიცვა გრძელვადიან პერსპექტივაში, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მოწყვლადი მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის ერთიანი, სისტემური პოლიტიკის შემუშავების საკითხი.

ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება – EMC მთავრობას, კორონავირუსის გავრცელების ფონზე, უსახლკაროების განსაკუთრებული დაცვისაკენ მოუწოდებს



განცხადება – EMC ითხოვს აუქციონების, საბანკო ანგარიშებზე ყადაღისა და თანხის ჩამოჭრის პროცედურების შეჩერებას



განცხადება – EMC მთავრობას მოწყვლადი ჯგუფების შიშვლისგან დაცვისკენ მოუწოდებს



ინფორმაცია – COVID-19 და უსახლკარობა – რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს

შპმ პირთა უფლებები

პანდემიის მიმდინარეობისას შპმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა და სოციალური კეთილდღეობა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. აღსანიშნავია, რომ მთავრობის ანტიკრიზისულმა გეგმამ შპმ პირთა გარკვეული ჯგუფები – კერძოდ, მკვეთრად გამოხატული შპმ პირები და შპმ ბავშვები – მოიცვა, თუმცა, ხედვის არეალის გარეთ ასობით პირი დატოვა და არ გაითვალისწინა მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შპმ პირებისა და იმ ბავშვების საჭიროებები, რომელთაც, არსებული რეგულაციების მიხედვით, შპმ პირის სტატუსს არ ანიჭებენ.

EMC-ის გამომხატვრები პანდემიის დროს სახელმწიფოს მხრიდან შპმ პირთა ეფექტიანი მხარდაჭერის ვალდებულების შინაარსზე ფოკუსირებას ისახავდა მიზნად. სხვადასხვა მნიშვნელოვან ასპექტთან ერთად, ორგანიზაციამ ხაზი გაუსვა მთავრობის მიერ შპმ პირთა ეფექტიანი და დაუბრკოლებელი ინფორმირების აუცი-

ლებლობას, მხარდაჭერითი მექანიზმების/სერვისების შენარჩუნებისა და მოდიფიცირების, დამატებითი სოციალური სერვისებით უზრუნველყოფის, ისევე, როგორც განათლებასა და დასაქმებაზე უწყვეტი წვდომის საჭიროებას. ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დიდი ზომის დაწესებულებების ბენეფიციართა დაცვის აუცილებლობაზე, ერთი მხრივ, მათი დაინფიცირების მაღალი რისკის, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან მონიტორინგის მექანიზმების სისუსტის, გათვალისწინებით.

ამასთან, EMC-იმ, არაერთ ორგანიზაციასა და შპმ თემის წარმომადგენელთან ერთად, პარლამენტს მიმართა რეკომენდაციებით, „შპმ პირთა უფლებების შესახებ“ კანონპროექტის განხილვისას გათვალისწინებულიყო COVID-19-ით ინფიცირების რისკები, ასევე, შპმ პირების მოწყვლადობა და პარლამენტს შეექმნა პროცესში თემის წარმომადგენელთა ჩართულობის ალტერნატიული ეფექტიანი მექანიზმები, მათ შორის, დისტანციური ფორმით.

7 ღონისძიება, რომელიც კორონავირუსის პირობებში სახელმწიფომ შპმ პირთა უფლებების დასაცავად უნდა უზრუნველყოს

EMC



შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმირება



მხარდაჭერის პროგრამების შენარჩუნება და შექმნილ გარემოებებთან ადაპტირება



დამატებითი მხარდაჭერა სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სფეროებში



ფინანსური დახმარება



საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარი წვდომა



ინსტიტუციების მაცხოვრებლების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა



ფსიქიკური ჯანმრთელობის დამატებითი სერვისები

ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება – COVID-19 და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის განსაკუთრებული აუცილებლობა



განცხადება – შპმ პირები და ორგანიზაციები პარლამენტის მიერ „შპმ პირთა უფლებების შესახებ“ კანონპროექტის განხილვას აფასებენ



ინფორმაცია – COVID-19 და შპმ პირები – რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ

საგანგებო მდგომარეობა COVID 19-ის დროს

პანდემიამ და მასთან გასამკლავებლად სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი გამოწვევები გააჩინა დემოკრატიული ინსტიტუტების გამართული მუშაობის და პოლიციის მხრიდან ჭარბი ძალის გამოყენების კუთხით.

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გაუმართავი პროცედურით გამოცხადდა. საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი უფლებამოსილების დელეგირება სრულად მოახდინა მთავრობასა და მინისტრთა კაბინეტზე, ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული კონკრეტული

შეზღუდვები და აკრძალვები კი საპარლამენტო კონტროლს მიღმა დარჩა.

საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დადგენილი შეზღუდვები და სანქციები, თავის მხრივ, აჩენდა უსამართლობის და არაპროპორციულობის განცდას; ამავდროულად, სახელმწიფოს ეფექტიანი კომუნიკაცია არ ჰქონდა მოსახლეობის ფართო ფენებთან კონკრეტული შეზღუდვების შინაარსზე. შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებით დადგენილი შეზღუდვების აღსრულების უმთავრესი მექანიზმი სწორედ მკაცრი სანქციები და პოლიციის იძულებითი ღონისძიებები იყო.



სხვა უფლებებთან ერთად, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში შეიზღუდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც. რითიც, ცალკეული უწყებები არაკეთილსინდისიერად სარგებლობდნენ და არ უზრუნველყოფდნენ მოქალაქეებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას, რაც ხელს შეუწყობდა მოსახლეობის ინფორმირებას ამ უწყებების საქმიანობასა და ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე.

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დასრულების პარალელურად, პარლამენტმა ცვლილებები განახორციელა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში, აგრეთვე „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“ და „სისხლის სამართლის“ კოდექსებში. საკანონმდებლო ცვლილებებით ბლანკეტური და არაპროპორციულად მკაცრი სანქციები განისაზღვრა პანდემიის ვითარებაში დადგენილი მოთხოვნების/შეზღუდვების დარღვევისთვის; ამავდროულად, ჭარბი ძალაუფლებით აღიჭურვა აღმასრულებელი ხელისუფლება, მსგავს ვითარებაში შეზღუდოს ადამიანის კონსტიტუციური უფლებები საპარლამენტო და სასამართლო კონტროლისგან გვერდის ავლით.

ამ საკითხებზე EMC-იმ რამდენიმე ანალიტიკური დოკუმენტი და განცხადება მოამზადა, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტების საფრთხეებზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე განსაკუთრებით ისეთ ვითარებაში, როცა შეზღუდულია მოქალაქეთა მიმოსვლის თავისუფლება, შეკრებისა და გამოხატვის უფლება და სხვა კონსტიტუციური უფლებები. EMC-იმ აგრეთვე მოამზადა სპეციალური ანგარიში საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივ მოწესრიგებასა და მის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. დოკუმენტში გაანალიზებულია პანდემიასთან ბრძოლის ქართული გამოცდილება, კონკრეტულად კი ის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მოქმედებდა ხელისუფლება პანდემიასთან გასამკლავებლად. ანგარიშში კრიტიკულად არის შეფასებული მთავრობის ხელში ჭარბი ძალაუფლების კონცენტრირება და პარლამენტის მიერ აღმასრულებელი სახელისუფლებო შტოს არაფექტიანი კონტროლი.



ამ მიმართულებით მომზადდა:

-  განცხადება – EMC პოლიციის მხრიდან ძალადობის შესაძლო შემთხვევებს ეხმარება
-  განცხადება – EMC ეხმარება სხვადასხვა ქალაქში გარემოვაჭრეების დახლების აღების ფაქტს
-  განცხადება – EMC: უწყებებმა საგანგებო მდგომარეობისას საჯარო ინფორმაცია დროულად და სრულყოფილად უნდა გაცენ
-  განცხადება – EMC: „ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ადამიანის უფლებების დარღვევის რისკებს შეიცავს
-  ანალიტიკური დოკუმენტი – საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური შინაარსი – არსებული გამოცდილების ანალიზი
-  სტატია – საგანგებო მდგომარეობა და ახალი რეალობა
-  დისკუსია – საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური შინაარსი

ჩაკეტილი მარნეული და ბოლნისი ჰუმანიტარული კრიზისის და სიძულვილის ენის პირისპირ

პანდემიის პერიოდში მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში კარანტინის გამოცხადების შემდეგ განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ კიდევ ერთხელ მძიმედ გამოჩნდა ინტეგრაციის პოლიტიკის სისუსტე და რეგიონების მძიმე სოციალური ყოფა.

პანდემიის პირველივე ფაზაში ქვემო ქართლის რეგიონში ვირუსით ინფიცირებულთა განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი (35%) დაფიქსირდა, რამაც უმცირესობების ინფორმაციული იზოლაციის პრობლემა კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში. ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო უწყებების მუშაობის ანალიზი აჩვენებს, რომ თვითმმართველობები და სახელმწიფო უწყებების ტერიტორიული ორგანოები წლების განმავლობაში არ უზრუნველყოფენ უმცირესობების ენაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის (მაგალითად, ვებ-გვერდების, სოციალური ქსელების, პოლიტიკის დოკუმენტების, ნორმატიური აქტების, სოციალური სერვისების, ბიუჯეტის) უმცირესობების ენაზე თარგმნას. იმის გამო, რომ ადგილობრივ აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სახელმწიფო ენის ცოდნა პრობლემაა, ამგვარი მიდგომები თემის პოლიტიკურ გაუცხოებას და იზოლაციას აღრმავებს. ამ ვითარებას აღრმავებს ის გარემოებაც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი უმცირესობების ენაზე ინფორმაციას ტელეეთერით ან არ ავრცელებს ან მკვეთრად შეზღუდული და არასტაბილური **ფორმატებით**. ინტერნეტ პლატფორმაზე კი, უმცირესობების ენაზე თარგმნილი მასალების გავრცელება საკმარისი არ არის, რადგან რეგიონებში ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდება მოსახლეობის დიდ ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დროს სახელმწიფო უწყებების ნაწილი ცდილობდა პანდემიასთან, მის პრევენციასთან და სახელმწიფო უწყებების მიერ გატარებულ ღონისძიებებთან

თან დაკავშირებული ინფორმაციის ნაწილობრივ თარგმნას, ეს პრაქტიკა ფრაგმენტული, არამყარი და არაინსტიტუციონალიზებული იყო.

კარანტინის გამოცხადებისთანავე აშკარა გახდა, რომ მარნეულისა და ბოლნისის თვითმმართველობებს არ გააჩნდათ საკმარისი გამოცდილება და სოციალური მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელიც გაჩერებულ რეგიონში მცხოვრები ადამიანების ჰუმანიტარულ მოთხოვნებს სათანადოდ დაკმაყოფილებას შეძლებდა.

ჩვენს მიერ ორგანიზებულ ცხელ ხაზზე 100-ზე მეტმა ოჯახმა **დარეკა**; მათი ძირითადი ნუხილები კარანტინის გამო ყოველდღიური შემოსავლის დაკარგვა იყო; შვილების, ხანდაზმულების რჩენის პრობლემა. თუმცა, პანდემიის დასასრულამდე ჩვენი ბენეფიციარების 10%-მაც კი ვერ მიიღო თვითმმართველობის ჰუმანიტარული მხარდაჭერა, რომელიც ისედაც მწირი და **უსამართლოდ იყო გადანაწილებული**. აღნიშნული გამოწვევა, უნდა გამხდარიყო თვითმმართველობების სოციალური მხარდაჭერის პრაქტიკის გააზრების და ანტიკრიზისული სოციალური გეგმის შემუშავების მნიშვნელოვანი მიზეზი, თუმცა, ამ მიმართულებით პოლიტიკის დაგეგმვის მცდელობები უწყებების მხრიდან ამ დრომდე არ ჩანს.

მკაცრი კარანტინის პირობებში ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანასა და გაფუჭების რისკებზე ნუხდა, რის გამოც კარანტინის დროს მარნეულში არა ერთი აქცია ჩატარდა. აქციების ციკლმა თვითმმართველობებთან და **სახელმწიფო ინსტიტუტებთან მოსახლეობის გაუცხოება და უნდობლობა კიდევ ერთხელ აჩვენა**. ამასთან, ნათელი გახდა, რომ სოფლის მეურნეობის წარმოებაში ქვემო ქართლის რეგიონის მაღალი წვლილისა და შრომის მიუხედავად, ამ მუნიციპა-





ბლოგი – კარანტინის დღიურები – აითაჯ ხალილი

ლიტეტში სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად განვითარებული და მხარდაჭერილი სახელმწიფოს მიერ; ის მეტწილად ადგილობრივი გლეხების უმძიმეს შრომასა და თვითორგანიზებაზე დგას. სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ანტიკორიპსული გეგმა, რომელიც მთავრობის მიერ გამოქვეყნდა სათანადოდ არ ითვალისწინებდა მცირე ფერმერების ინტერესებსა და საჭიროებებს. **გეგმა არ პასუხობს ადგილობრივი გლეხების წინაშე არსებულ გამოწვევებს.**

პოლიტიკის მხრიდან აგრესიული დაჯარიმების პრაქტიკა კიდევ უფრო ამძიმებდა კარანტინის პირობებში ადგილობრივ სოციალურ მდგომარეობას. პოლიტიკის საქმიანობაში ენობრივი ბარიერები, ადგილობრივი სოციალური კონტექსტის გაუაზრებლობა და თვითნებურობა მოსახლეობას დამატებით სიმძიმედ დააწვა. ნიშანდობლივია, სოციალური უკმაყოფილების პასუხად ადგილობრივების მიერ ორგანიზებული სიგნალის აქციას ასევე მოჰყვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უხეში ჩარევა და საბოტაჟის მუხლით გამოძიების დაწყება, რა დროსაც სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე **მირთაგი ასადოვი სუს-მა გამოკითხვაზე დაიბარა.**

კარანტინის გამოცხადებას მოჰყვა სიძულვილის ენის ტალღა საქართველოს აზერბაიჯანელების მიმართ, რომელიც ამ თემის მკვეთრად რასიალიზებას და მარგინალიზაციას ახდენდა. ამგვარი დისკრიმინაციული

განცხადებები გააკეთა საჯარო მოხელემაც, რომელსაც არ მოჰყოლია პასუხი ხელისუფლების მხრიდან. ნიშანდობლივია, რომ სოციალურ ქსელში რასისტული და ქსენოფობიური თავდასხმები ულტრამემარჯვენე და რადიკალი ჯგუფების მიერ იყო ორგანიზებული. ამ ჯგუფების გააქტიურება პანდემიის და მის შემდგომ პერიოდშიც შეინიშნებოდა და განსაკუთრებულად დაიძაბა მარნეულის მერის მიერ ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის რეაბილიტაციის შემდეგ, რომელსაც ღიად დაუპირისპირდა მარნეულისა და ჰუჭაბის ეპარქია. ამ ფონზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო რასობრივი დისკრიმინაციის მუხლით და გამოძიების ფარგლებში დაიბარა არაერთი აზერბაიჯანელი აქტივისტი და ადამიანის უფლებებზე მომუშავე პირები, მათ შორის EMC-ის თანასწორობის პოლიტიკის პროგრამის დირექტორი თამთა მიქელაძე. სუს-ის მიერ დაწყებული გამოძიება სამოქალაქო აქტივისტების გამოხატვის თავისუფლებისა და აქტივისტური საქმიანობის შემოწმებისა და კონტროლის ნიშნებს შეიცავდა. ბოლო წლებში, საქართველოს აზერბაიჯანელ თემში ჩანს ემანსიპაციისა და სამოქალაქო აქტივიზმის საინტერესო გამოცდილება, რომელიც ცდილობს კრიტიკისა და თვითორგანიზების გზით სოციალური ცვლილებების მიღწევას თემში. გამოძიების ფარგლებში აქტივისტების საჯარო პოზიციებისა და კრიტიკის შემოწმებას შესაძლოა გამოხატვის თავისუფლებისა და სოციალური აქტივიზმის დასუსტების ეფექტი ქონდეს. აღნიშნული გამოძიება კიდევ ერთხელ აჩვენებს უმცირესობების უსაფრთხოების თვალთვალზე დანახვის პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლთან დაკავშირებული დისკუსია და ულტრაკონსერვატიული ჯგუფების მხრიდან პროცესების რადიკალიზება დროულ პოლიტიკურ გადაწყვეტას საჭიროებდა, არც ერთი პოლიტიკური უწყება, მათ შორის, შერიგებისა და სამოქალაქო თანაცხოვრობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი **ამ პროცესში არც კი გამოჩენილა.** შოვინისტური და რასისტული ენის აგრესიულ ტალღებს, **არ გამოეხმაურნენ** სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები და აგრესიის დემოკრატიული დისკუსიების ფარგლებში გადამზრდის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აიღეს.



ფოტო: სალომე ლაცაბიძე

განათლების პოლიტიკის სისუსტეები და არაქართულენოვანი ჯგუფები



სტატია – განათლების პოლიტიკის სისუსტეები და არაქართულენოვანი ჯგუფები

პანდემიის პირობებში ასევე მწვავედ გამოჩნდა ეთნიკური უმცირესობების თემებში განათლების კუთხით არსებული გამოწვევები და ის, რომ ონლაინ სწავლებისთვის რეგიონის სკოლები სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდნენ. ინტერნეტის, შესაბამისი მოწყობილობების, ტექნოლოგიური ცოდნისა და სოციალური გამოწვევების გამო მოსწავლეების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი **ესწრებოდა ონლაინ გაკვეთილებს**. ცხადია, რომ არაქართულენოვან სკოლებში **სათანადო განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზოგადი სირთულეების ფონზე**, შექმნილი კრიზისი კიდევ უფრო მძიმედ აისახება სკოლის მოსწავლეების განათლებაზე.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში ჩვენთან შექმნილი კონტექსტისა და ასევე, რასისტული პრაქტიკის გამო ამერიკაში მიმდინარე მასობრივი პროტესტის კვალდაკვალ EMC ცდილობდა რასიზმის, კაპიტალიზმის, პატრიარქატის საკითხებზე შავკანიანი ავტორების და აქტივისტების გამოსვლებისა და ტექსტების თარგმნასა და **გავრცელებას**.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ EMC-იმ დააორგანიზა რამდენიმე საჯარო დისკუსია **მკვლევებისა და თემის წევრების** მონაწილეობით.

რასიზმი, კაპიტალიზმი, პატრიარქატი

თარგმანების კრებული



EMC

ამასთან, EMC შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ყოველდღიურად აწვდიდა ინფორმაციას ადგილზე იდენტიფიცირებული პრობლემების შესახებ, უზიარებდა რეკომენდაციებსა და ხედვებს.

ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება – EMC საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს მიმართავს



განცხადება – EMC მირტაგი ასადოვის გამოკითხვის პროცესს და მის სამართლებრივ და სოციალურ კონტექსტს აფასებს



განცხადება – EMC მარნეულსა და ბოლნისში შექმნილ სოციალური კრიზისის ეხმანება



განცხადება – EMC: სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა უსამართლოა



განცხადება – EMC სუს-ში მიმდინარე გამოძიებასა და თამთა მიქელაძის გამოკითხვის პროცესს ეხმანება



განცხადება – საზოგადოებრივი ორგანიზაციები მთავრობას ნარიმანოვის ძეგლთან დაკავშირებით პოლიტიკური პროცესის შექმნისკენ მოუწოდებენ



ბლოგი – კარანტინის დღიურები – აითაცხალილლი



სტატია – განათლების პოლიტიკის სისუსტეები და არაქართულენოვანი ჯგუფები



სტატია – ონლაინ სწავლება რეგიონში: ქვემო ქართლის გამოცდილება



თარგმანი – რასიზმი, კაპიტალიზმი, პატრიარქატი – თარგმანების კრებული



კვლევა – ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები – რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება



კვლევა – ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია



დისკუსია – ჩაკეტილი მარნეული და ბოლნისი – სოციალური კრიზისისა და რასიზმის პირისპირ



დისკუსია – „ჩვენ“ და „სხვები“? – კულტურის პოლიტიკა ქვემო ქართლში

აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე პროცესები

პანდემიის პირობებში სათანადო ინფორმაციაზე წვდომის მაღალი ინტერესის მიუხედავად, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალმა მენეჯმენტმა დახურა მნიშვნელოვანი სოციალური გადაცემების ნაწილი და ამ პერიოდში კვლავ აგრძელებდა დასაქმებულების გათავისუფლებისა და დისციპლინური დევნის პოლიტიკას. ახალმა მენეჯმენტმა საინფორმაციო სამსახურიდან გაათავისუფლა თითქმის ყველა კრიტიკული და დამოუკიდებელი ჟურნალისტი, რედაქტორი, რაც საბოლოოდ მაუწყებლის მიერ წარმოებულ შინაარსზე და სარედაქციო პოლიტიკაზე მძიმედ აისახა.



ვიდეო – აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების სამთვლიანი დევნის ქრონიკა

EMC

დისკუსია:

აჭარის მაუწყებელი - პოლიტიკური და მედია კონტექსტი



მალხაზ რეხვიაშვილი

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის
ალტერნატიული პროფესიული
გაერთიანების თავმჯდომარე;

გოგი გვახარია

კინომცოდნე

ლაშა ქავთარაძე

მედიის მკვლევარი

თამთა მიქელაძე

EMC (დისკუსიის მოდერატორი)



დისკუსია – აჭარის მაუწყებელი – პოლიტიკური და მედია კონტექსტი

ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება – EMC აჭარის მაუწყებლის დირექტორის წინააღმდეგ გამოძიებას მიმართავს



განცხადება – EMC-მ აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტების საქმეებზე სასამართლოს მიმართა



ვიდეო – აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების სამთვლიანი დევნის ქრონიკა



დისკუსია – აჭარის მაუწყებელი – პოლიტიკური და მედია კონტექსტი

ოკუპირებულ ტერიტორიებზე პანდემიის კუთხით არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

ოკუპირებული რეგიონების de facto ხელისუფლებები მზად არ აღმოჩნდნენ პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ. შექმნილი რთული სიტუაციის გათვალისწინებით, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მთავრობას დახმარება აღმოეჩინა აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის და შექმნილი კრიზისი კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის გამოეყენებინა.



 ბლოგი - ენგურს მიღმა დილა სხვანაირად თენდება



EMC-იმ საქართველოს მთავრობას არა ერთხელ მიმართა ამ მოთხოვნით. მათ შორის, EMC მწვავედ დააყენა კონფლიქტის რეგიონებიდან საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტების სოციალური საჭიროებების (ქირა, საკვები, სწავლის საფასური და ა.შ.) გადაჭრის აუცილებლობა. საბოლოოდ, სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმა სახელმწიფოსგან მხარდაჭერა მიიღო.

 ბლოგი – ციცაბო კლდეზე სიარული ანუ აღიარება - არაღიარების მიჯნაზე

ამ მიმართულებით მომზადდა:

-  განცხადება – EMC სტუდენტებისთვის სპეციალურ სოციალურ მხარდაჭერას მოითხოვს
-  ბლოგი – ჩაკეტილი ახალგორი კორონავირუსის პირისპირ
-  ბლოგი – ციცაბო კლდეზე სიარული ანუ აღიარება – არაღიარების მიჯნაზე
-  ბლოგი – ენგურს მიღმა დილა სხვანაირად თენდება
-  ბლოგი – ცივინათელების სასაფლაო
-  დისკუსია – იზოლაცია იზოლაციაში – კონფლიქტის რეგიონების გამოწვევები

პანდემია და ეკლესია

პანდემიის პირობებში კვლავ თვალშისაცემი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის დომინირებისა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის მაღალი რისკების მიუხედავად, საეკლესიო შეკრებების მიმართ ხელისუფლების მაღალი ლოიალობის პრობლემა. ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა ეკლესიასთან მოლაპარაკებებისა და დარწმუნების გზას იყენებდა, თუმცა, აშკარა იყო სახელმწიფო ჩინოვნიკების ჭარბი ლოიალობა საპატრიარქოს მხრიდან.



გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს არ ეყო რესურსი პანდემიის დროს რელიგიის თავისუფლების საქმიანობის შეზღუდვის ჯეროვანი საკანონმდებლო რეგულაციები დაეწესებინა, მოქმედი კანონის მოთხოვნების დარღვევის აშკარა შემთხვევებზე სახელმწიფო სათანადო სამართლებრივ რეაგირებას არ ახდენდა. პანდემიის პირობებს დაემთხვა ახალი ტყის კოდექსის საფუძველზე მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსთვის ტყის მასშტაბური მასივების გადაცემის ახალი წესის ამოქმედება, რაც საპატრიარქოს მიმართ პოლიტიკური ლოიალობის კიდევ ერთი ნიშანი იყო.

ამ პერიოდში, EMC აქტიურად ავრცელებდა ინფორმაციას პანდემიის, რელიგიისა და საეკლესიო საკითხებზე. ამ

ბლოგი – პანდემია და სოლიდარობის იდეა – რას ფიქრობენ სასულიერო პირები და თეოლოგები

მიზნით, გამოქვეყნდა არაერთი ანალიტიკური სტატია და ბლოგი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი სააღდგომო ლიტურგიების დროს არ მისულა ეკლესიაში და სიცოცხლის დაცვის ინტერესი უფრო მაღლა დააყენა. ამ საზოგადოებრივ მიდგომას აჩვენებს ახლახანს NDI-ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიც.



ბლოგი – პანდემია და ეკლესია – ზურაბ ჭაში



ბლოგი – პანდემია და ეკლესია – ირაკლი ჭინჭოლავა

ამ მიმართულებით მომზადდა:

 სტატია – ჟამი. ნაწილი პირველი: საგანგებო მდგომარეობა

 ბლოგი – პანდემია და ეკლესია – ზურაბ ჭაში

 ბლოგი – პანდემია და ეკლესია – ირაკლი ჭინჭოლავა

 ბლოგი – პანდემია და ეკლესია – შოთა კინწურაშვილი

 ბლოგი – პანდემია და ეკლესია – გიორგი მაისურაძე

 ბლოგი – პანდემია და ეკლესია – მირიან გამრეკელაშვილი


 ბლოგი – პანდემია და სოლიდარობის იდეა – რას ფიქრობენ სასულიერო პირები და თეოლოგები

 დისკუსია – პანდემია და ეკლესია



15 აპრილი
პანდემია და ქვეყანა

ონლაინ დისკუსიის ფარგლებში ქართველ თეოლოგებთან ბასილ კობახიძესთან და ზურაბ ჭაშთან ერთად ვიმსჯელებთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების პოლიტიკურ და სოციალურ ასპექტები; საპატრიარქოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების პოლიტიკური და თეოლოგიურ განზომილება; საპატრიარქოს სუსტი სოციალური მსახურება და სოლიდარობის პრაქტიკა; საპატრიარქოში შექმნილი კრიზისის სისტემური მიზეზები და შესაძლო გამოსავლის გზები.



22 აპრილი
ჩაქვთილი გარეული და გოლნისი - სოციალური კრიზისისა და რახინების პირისპირ

დისკუსია მიზნად ისახავდა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში კარანტინის რეჟიმის გამოცხადების პირობებში ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური საჭიროებების და სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის კრიტიკულ შეფასებას.



24 აპრილი
სუს-ი - ჭარბი ძალადუღობა და სუსტი ანგარიშვალდებულება

დისკუსია მიზნად ისახავდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის, მისი უკონტროლო ძალადუღობის კრიტიკულ ანალიზსა და არსებული ანგარიშვალდებულების შექანიმებზე მსჯელობას.

დისკუსია:
ივოლუცია ივოლუციაში - კონფლიქტის რეგულირება პანდემიის დროს

თამაზ მჭედლაძე
EMC (დისკუსიის მოდერატორი)

პაატა ზაქარაიშვილი
კონფლიქტოლოგი, ცივილიზაციური სახელმწიფო მინისტრი

თამარა მგალობელი
აქტივისტი ანალოგიური

თინა ფირაიშვილი
EMC

ელენე ბენდელიანი
ნაციონალური და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი

29 აპრილი

ივოლუცია ივოლუციაში - კონფლიქტის რეგულირება პანდემიის დროს

დისკუსიის ფარგლებში მომხსენებლებმა იმსჯელეს გალსა და ახალგორში არსებულ სისტემურ სოციალურ და ჰუმანტარულ გამოწვევებზე და პანდემიის დროს შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე. ასევე, იმაზე, თუ რამდენად აქვს მსგავს კრიზისებს კონფლიქტების ტრანსფორმაციის რესურსი და როგორია ამ კუთხით ჩვენი კონტექსტი.

დისკუსია:
აჭარის გაუწყობელი - პოლიტიკური და მედია კონტექსტი

მალხაზ რეხვიაშვილი
აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული პროექტული გაერთიანების თავმჯდომარე;

გოგი გვახარია
კინომცოდნე

ლამა ჯავახიშვილი
მუდის მკვლევარი

თამაზ მჭედლაძე
EMC (დისკუსიის მოდერატორი)

f LIVE

2 მაისი

აჭარის გაუწყობელი - პოლიტიკური და მედია კონტექსტი

დისკუსია მიზნად ისახავდა აჭარის მაუწყებელში მიმდინარე პროცესების პოლიტიკური და მედიაკონტექსტის შეფასებას. დისკუსიის ფარგლებში, მომხსენებლებმა იმსჯელეს თუ როგორია მთლიანობაში მედიაგარემო საქართველოში და არსებულ პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში რა როლი და პოტენციალი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივ მაუწყებელს.

დისკუსია:
რეპრესიული და სოციალური პოლიტიკა პრიზისის დროს

მოდერატორი:
კოტე ერისთავი - EMC-ის სოციალური პოლიტიკის პროგრამის დირექტორი

მომხსენებლები:
დონალდ მაიკი - ანტისემიტური პოლიტიკის მკვლევარი
ანა დოლიძე - იურიდიული, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
გურამ იშნაძე - EMC-ის მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამის დირექტორი

f LIVE

6 მაისი

რეპრესიული და სოციალური პოლიტიკა პრიზისის დროს

დისკუსიის მიზანი იყო, პანდემიით შექმნილი ვითარების ფონზე, განსხვავებული პერსპექტივებით მომხსენებლებთან ერთად შეგვეფასებინა სახელმწიფოს რეპრესიული აპარატისა და სოციალური გამოწვევების ურთიერთმიმართება. კერძოდ, რა ტიპის ინსტრუმენტებს იყენებს სახელმწიფო კრიზისის მართვისას, როგორია ბალანსი რეპრესიულ და კეთილდღეობის ინსტრუმენტებს შორის, და რამდენად განსაზღვრავს ძალადობრივი პრაქტიკის სიცოცხლისუნარიანობას სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.

ლგბტქი ადამიანთა გდომგარეობის სოციუმ-ეკონომიკური ასპექტები პანდემიის დროს



დავით კახაბიძე
თანასწორობის მოძრაობა (Equality Movement)



ბექა გაბაბიძე
სოციალური მუშაკი



ნატელა მჭედლიშვილი
ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი გვეუი (WISG)



სოფო ბაიდაშვილი
იდენტობა იუს (Identity Youth)



ლიკა ჯალადაშვილი
მიდგომითი (EMC)

13 მაისი, 17:00

EMC

13 მაისი

ლგბტქი ადამიანთა გდომგარეობა პანდემიის დროს

ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა კრიტიკული გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოს მოსახლეობა და აჩვენა უთანასწორობის ის ხარისხი, რომელიც განსაკუთრებით მწვავე ფორმებით მოწყვლად მოსახლეობის მიმართ გამოვლინდა. დისკუსიის მიზანი იყო ლგბტქი ადამიანთა წინაშე მდგარი მძიმე და გადაუდებელი საჭიროებების იდენტიფიცირება და სახელმწიფოს დღის წესრიგში მისი კრიტიკული პერსპექტივით დაყენება.

დისკუსია: საგანგებო გდომგარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური შეინაარსი
არსებული გამოცდილების ანალიზი



თორნიკე გვარჯიანი



თამარ სამაშაძე



გიორგი ბურჯანაძე



ზალა ანდრონიკაშვილი



გურამ იშაძე

22 მაისი, 17:00

EMC

22 მაისი

საგანგებო გდომგარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური
შეინაარსი – არსებული გამოცდილების ანალიზი

დისკუსიის მიზანი იყო სამართლებრივ და პოლიტიკურ ტერიტორიაზე გაგვეზრებინა საგანგებო მდგომარეობის ქართული გამოცდილებები და ის რისკები, რომლებიც პანდემიასთან ბრძოლას უკავშირდება.

EMC

ქალთა შრომა და შინშრომა



თამარ ცხადაძე



ალექსანდრა არაშვილი



მარიამ ჭანჭავაძე



ანა ილურიძე



ლიკა ჯალადაშვილი

17 ივნისი, 17:00 სთ

EMC

17 ივნისი

ქალთა შრომა და შინშრომა

დისკუსია შეეხო ქალთა შრომასა და აუნაზღაურებელ საშინაო შრომას პანდემიის პირობებში, რომელიც აღნიშნული შრომის მასშტაბი გააფართოვა და ქალებს მძიმე ტვირთად დააწვა. დისკუსიაში მიმოხილული იყო შინშრომასთან დაკავშირებით არსებული ფემინისტური თეორიული მიდგომები და აქცენტი გაკეთდა შრომის ისეთ ფორმებზე, რომელიც იშვიათად ხვდება ფემინისტურ დღის წესრიგში, კერძოდ, ზრუნვისა და ემოციური შრომის საკითხები, და გაკეთდა აქცენტები დღევანდელი მიდგომების გადააზრების და ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის შესახებ, რომელიც ქალთა შრომას ახლებურად გაიაზრებს და სახელმწიფოს როლს გამოკვეთს.

სამართლებრივი მხარდაჭერა შრომითი და სოციალური უფლებების დარღვევაზე Covid 19-ის დროს

პანდემიის პირობებში, შრომითი უფლებების დარღვევის გაზრდილი რისკის გამო EMC-იმ აამოქმედა 24-საათიანი ცხელი ხაზი და დისტანციური კონსულტაციის მექანიზმები, სადაც დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ სამართლებრივი მხარდაჭერა შრომითი და სოციალური უფლებების დარღვევის თაობაზე კონსულტირების, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებისა და სასამართლოში საქმის წარმოების გზით.

სამართლებრივი კონსულტირების პროცესში გამოიკვეთა, რომ პანდემიისას შრომითი უფლებების დარღვევა გამოიხატა სამსახურიდან უკანონო და დაუსაბუთებელი გათავისუფლების, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის, განუსაზღვრელი ვადით არაანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის იძულების, შრომის ანაზღაურების შემცირების, გამოსაცდელი ვადის დროს სამსახურიდან დაუსაბუთებელი დათხოვნის, დეკრეტული შვებულების გაცემის წესის დარღვევასა და სხვა შემთხვევებში. კონსულტაციებმა ნათლად აჩვენა ეროვნული კანონმდებლობის სისუსტე და ეფექტიანი შრომის ინსპექციის საჭიროება.

EMC-ის მხარდაჭერით:

200-ზე მეტ ადამიანს გაეწია იურიდიული კონსულტაცია

მოგზადა 20-მდე სამართლებრივი დოკუმენტი

11 ბენეფიციარის საქმეზე შრომითი უფლებების დარღვევის გამო ორგანიზაციამ მიმართა სასამართლოს

სამართლებრივი დახმარება ქვემო ქართლში მცხოვრები მოქალაქეებისთვის პანდემიის დროს

კარანტინის გამოცხადებისთანავე აშკარა გახდა, რომ მარნეულისა და ბოლნისის თვითმმართველობებს არ გააჩნდათ საკმარისი გამოცდილება და სოციალური მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელიც გაჩერებულ რეგიონში მცხოვრები ადამიანების ჰუმანიტარულ მოთხოვნებს სათანადოდ დაკმაყოფილებას შეძლებდა.

პანდემიის დროს კონსულტაციებს გაცემდით მარნეულში, გარდაბანში და ბოლნისში მცხოვრები მოქალაქეებისთვის. ჭამში, 150-მდე კონსულტაცია. აქედან აბსოლუტური უმრავლესობა ეხებოდა სოციალურ საკითხებს,

კერძოდ, დახმარების მიღების საჭიროებას. 19 შემთხვევა ეხებოდა სამართლებრივ საკითხებს, კერძოდ, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, მისი დარღვევის შემთხვევებსა და პანდემიის პირობებში სამსახურიდან გათავისუფლების საკითხებს. ჩვენ ავიღეთ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის გამო მიმდინარე 6 საქმე. აქედან, 1 საქმეზე გვაქვს დადებითი შედეგი და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩვენი საჩივარი დააკმაყოფილა, მოქალაქეს გაუქმდა დაკისრებული ჯარიმა. დანარჩენ 5 საქმეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს წარმოება.

სხვა კონსულტაციებზე მოქალაქეებს ვამისამართებდით მერიასთან, მთავრობის ადმინისტრაციასთან და ვამონიტორინგებდით ეხმარებოდნენ თუ არა უწყებები მათ.

EMC-ის მხარდაჭერით:

150-ზე მეტ ადამიანს გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია

6 საქმე საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის გამო

1 საქმეზე საგანგებო დარღვევის გამო შსს-მ საჩივარი დააკმაყოფილა

დონორი ორგანიზაციები და პროექტები, რომელთა დახმარებითაც EMC-ი შექმულ ან განაგრძობს მოქმედებს საქმიანობების განხორციელებას

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველოში

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია



OPEN SOCIETY
FOUNDATIONS



კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში EWMI-PROLoG

პროექტი: მარგინალიზებული ჯგუფებისთვის
ადამიანის უფლებების პირობების გაუმჯობესება
სტრატეგიული სამართალწარმოების გზით

შვეიცარიის საელჩო საქართველოში

პროექტი: ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის
ხელშეწყობა და უფლებრივი გაძლიერება
კვლევის, განათლების, ადვოკატირების და
ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებების
მეშვეობით

გაეროს განვითარების პროგრამა — UNDP

პროექტი: თვითდასაქმება და კოვიდ-19

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" — OSGF

პროექტი: შრომითი უფლებები პანდემიის დროს

ჰაინრიხ ბოლის ფონდის თბილისის ოფისი

პროექტი: სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიები და
მათი სოცო-ეკოლოგიური ასპექტები

ღია საზოგადოების ფონდები (OSF)

პროექტი: ქმედუნარიანობის ინსტიტუტის
დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში

სქესობრივი განათლების შვედური ასოციაცია (RFSU)

პროექტი: ლგბტი პირთა უფლებების
გაძლიერება, სექსუალური და რეპროდუქციული
ჯანმრთელობის საკითხების ადვოკატირება და
ქვიარ აქტივისტთა მხარდაჭერა

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

მისამართი: ი. აბაშიძის 12ა, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

EMC